

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022
წლის 31 დეკემბერს

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,385,775	1,577,562
არამატერიალური აქტივები		-	9,172
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		2,572,379	2,572,379
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,958,154	4,159,113
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		3,196	3,196
გაცემული სესხები	4	1,685,321	869,441
სავაჭრო მოთხოვნები		137,343	85,660
ფული და ფულის ექვივალენტები		597,836	516,192
სულ მიმდინარე აქტივები		2,423,696	1,474,489
სულ აქტივები		9,381,850	5,633,602
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,545,265	300,220
გადაფასების რეზერვი		4,146,994	4,146,994
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		1,096,023	446,819
სულ კაპიტალი		8,778,282	4,894,033
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		399,603	505,346
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		183,975	229,141
საგადასახადო ვალდებულებები		9,990	5,082
სულ ვალდებულებები		593,568	739,569
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,381,850	5,633,602

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი
კონსოლიდირებული მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი		762,349	661,387
პირდაპირი საოპერაციო ხარჯები		(193,998)	(191,173)
მთლიანი მოგება		568,351	470,214
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(12,879)	(16,303)
საოპერაციო მოგება		555,472	453,911
ფინანსური შემოსავალი		238,785	125,925
ფინანსური ხარჯები		(61,599)	(71,597)
მოგება გადასახადების გადახდამდე		732,658	508,239
მოგების გადასახადი		-	-
წლიური მოგება		732,658	508,239

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2021 წელი	-	1,975,777	1,975,777
საწესდებო კაპიტალის ზრდა	300,220		300,220
წლის სრული მოგება		446,819	446,819
გადაფასების რეზერვი		2,171,217	2,171,217
31 დეკემბერი, 2021 წელი	300,220	4,593,813	4,894,033
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,245,044		3,245,044
წლის სრული მოგება		649,205	649,205
გადაფასების რეზერვი			
31 დეკემბერი, 2022 წელი	3,545,264	5,243,018	8,788,282

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,012,673	957,178
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(177,727)	(161,562)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(66,101)	(53,403)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		768,845	742,213
გადახდილი გადასახადები		(165,919)	(47,613)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა		602,926	694,600
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		(200,000)	(300,000)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		300,000	320,000
გაცემული სესხები		(100,000)	(960,250)
გაცემული სესხების დაფარვა		67,508	128,998
მიღებული პროცენტი		48,453	57,640
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(156,185)	(156,185)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა		(40,224)	(929,577)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხების დაფარვა		(481,058)	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		(481,058)	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		516,192	751,169
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		597,836	516,192

1. ზოგადი ინფორმაცია

რეალ ისთეით გრუპი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 405446977. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საფინანსო და საინვესტიციო მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირინე სხირტლადის ქუჩა, N 2.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგება.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კონტრაგენტს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც მიწოდების შედეგად მიღებული აქტივის/მომსახურების სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მომორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ცალკეულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	3-დან 15 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-დან 15 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეულ ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ერთეულ ლარში	მიწა, შენობები და მიმდინარე მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
დირეზულა 1 იანვარი 2021	2,799,379	42,465	13,551	2,855,395
დამატება	-	189	-	189
რეალიზაცია	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	2,799,379	42,654	13,551	2,855,584
დამატება	2,945,044	-	1,192	1,192
რეალიზაცია	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	5,744,423	42,654	14,743	2,856,776
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2021	(1,092,260)	(37,704)	(9,602)	(1,139,566)
ცვეთის ხარჯი	(136,509)	(817)	(1,130)	(138,456)
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(1,228,769)	(38,521)	(10,732)	(1,278,022)
ცვეთის ხარჯი	(136,656)	(311)	(1,056)	(138,023)
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(1,365,425)	(38,832)	(11,788)	(1,416,045)
საბალანსო დირეზულა				
31 დეკემბერი 2021	1,570,610	4,133	2,819	1,577,562
31 დეკემბერი 2022	4,378,998	3,822	2,955	4,385,775

4. გაცემული სესხები

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
	31	
გაცემული სესხები დაკავშირებულ საწარმოებზე	1034,920	324,562
გაცემული სესხები სხვა კომპანიებზე	650,401	544,879
სულ გაცემული სესხები	1,685,321	869,441

კომპანიის გაცემული სესხები დენომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
GEL	1,685,321	869,441
სულ გაცემული სესხები	1,685,321	869,441

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

31 იანვარი 2024

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს რეალ ისთეით გრუპ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

4. გაცემული სესხები

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
31		
გაცემული სესხები დაკავშირებულ საწარმოებზე	1034,920	324,562
გაცემული სესხები სხვა კომპანიებზე	650,401	544,879
სულ გაცემული სესხები	1,685,321	869,441

კომპანიის გაცემული სესხები დენომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
GEL	1,685,321	869,441
სულ გაცემული სესხები	1,685,321	869,441

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

31 იანვარი 2024

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

